



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თოლია

თოლია, (*Larus Linnaeus*) წყალმცურავ ფრინველთა გვარი თოლიასებრთა ოჯახისა (*Laridae Vigors*), მეჭვავიასებრთა რიგი (*Charadriiformes Huxley*). ბინადრობს ზღვის ან შიდა წყალსატევების პირას. თ-ები საკმაოდ ერთგვაროვან ჯგუფს წარმოადგენენ, ახასიათებთ საკმაოდ მოზრდილი სხეული, გრძელი და მოხრილი ფრთები, საშუალო ზომის მასიური და ქვევითკენ ოდნავ მოხრილი ნისკარტი. თ-ების ზომა მერყეობს 25–81 სმ შორის, მასა 100 გ-იდან 2 და მეტ კგ-მდე. უმეტესობა შეფერილობით თეთრი ან ღია ნაცრისფერია, ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა კონფიგურაციის შავი ნახატით თავზე; მუცელი თეთრი, წვრილნისკარტა, მამრებს გამრავლების პერიოდში მოვარდისფრო ან ჩაღისფერი დაჰკრავს. ახალგაზრდა ფრინველი ჭრელია – შავი, ყავისფერი, რუხი და თეთრი მოკლე ბოლებით. ამგვარი შეფერილობა მათ მტაცებლებისაგან იცავს. თ-ები წელიწადში ერთხელ მრავლდებიან. თუ პირველი კვერცხდება დაილუპება, მდედრი კვერცხებს კვლავ დებს. ბუდის ადგილს მამრი ირჩევს და აშენებს კიდევ. ბუდეს იკეთებენ მარჩხობებში, კლდეებსა და ლერწმის ბარდებში, ზოგჯერ პირდაპირ მიწაზეც. კრუხობს და მართვეებს კვებას ორივე მშობელი. თ-ების ძირითადი საკვებია თევზი ასევე მოლუსკები, ჭიები, კანეკლიანები, მღრღნელები, ამფიბიები, მწერები, ზოგჯერ ლეში, კენკრა. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში თ-ების სახეობათა უმეტესობამ განიცადა სინანთროპიზაცია, ისინი ადამიანის ახლოს სახლდებიან და ნაგავსაყრელების ხშირი სტუმრები არიან. თ. დებს 1–4 მორუხო ჭრელ კვერცხს. 20–30 დღეში, უმეტეს შემთხვევაში კი 24–26 დღეში იჩეკებიან ბუმბულით დაფარული მართვეები. სხვადასხვა სახეობის თ-ები ფრენას 4–6 კვირაში იწყებენ. სქესმწიფობას მცირე ზომის თ-ები 2–3 წლის ასაკში აღწევენ, დიდი ზომისანი კი – 5 წლის ასაკში.

თ. მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, გვხვდება 60-მდე სახეობა, მათგან საქართველოში – 14 სახეობა თუ ზოგიერთი მკვლევრის აზრს გავითვალისწინებთ და

მეზღვიებსაც თ-ების ოჯახში გავაერთიანებთ, მაშინ თოლიასებრთა ოჯახი ჩვენში 17 სახეობამდე გაიზრდება.

საქართველოში გვხვდება: ვერცხლისფერი თ. (*Larus argentatus* Pontoppidan), სომხური თ. (*Larus armenicus* Buturlin), ოდუნის თ. (*Larus audouinii* Payraudeau), კასპიური თ. (*Larus cachinnans* Pallas), ხმელთაშუაზღვის თ. (*Larus michahellis* Naumann), ვეჟანი თ. (*Larus canus* Linnaeus), ფრთაშავი თ. (*Larus fuscus* Linnaeus), წვრილნისკარტა თ. (*Larus genei* Breme), მოხარხარე თ. (*Larus ichthyaëtus* Pallas), ზღვის დიდი თ. (*Larus marinus* Linnaeus), მასით 2 კგ-მდე აღწევს; შავთავა თ. (*Larus melanocephalus* Temminck), მცირე თ. (*Larus minutus* Pallas) მასით 100-150 გ არ აღემატება; ჩვეულებრივი თ. (*Larus ridibundus* Linnaeus), სამთითა თ. (*Rissa tridactyla* Linnaeus). მეზღვიები ამჟამად, მკვლევართა უმეტესობის აზრით, ცალკე ოჯახადაა გამოყოფილი, ესენია: გრძელკუდა მეზღვია (*Stercorarius longicaudatus* Vieillot), მოკლეკუდა მეზღვია (*Stercorarius parasiticus* Linnaeus), საშუალო მეზღვია (*Stercorarius pomarinus* Temminck). საქართველოში 4 სახეობის თ. მოხუდარია, 10 ან 13 კი - მიმომფრენი. ჩვენში ბუდობს სომხური, ხმელთაშუა ზღვის ვეჟანი და ჩვეულებრივი თ-ები.

**ა. ბუნნიკაშვილი**

---